ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №16

აბაშა, 2019 წლის 30 აპრილი

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №3 დადგენილებაში www.matsne.gov.ge, 26/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.110.016336) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების“ მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

16	III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქალაქის - ადმინისტრაციულ ერთეულში	1	800

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის „აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების“ 52-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

52	III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კულტურული ღონისძიებების საკითხებში	1	800

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 15 აპრილიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი